პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 46-ე წელი. № 198 (13283) | კვირა, 22 აგვისტო, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

მოსკოვიდან გაემგზავრა კონგოს (ბრაზავილი) პრეზიდენტი

21 აგვისტოს მოსკოვიდან ვოლგოგრადს გაემგზავრა ბრაზავილის კონგოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, ეროვნული რევოლუციური მოძრაობის პარტიის გენერალური მდივანი ალფონს მასამბა-დება, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება ოფიციალურ ვიზიტად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მთავრობის მოწვევით.

საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს პრეზიდენტსა და მის თანამგზავრებს ახლავან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. ხოლოვი და სხვა ოფიციალური პირები. (საკდესი).

ვოლგოგრადი, 21 აგვისტო. (საკდესის კორ.). დღეს მოსკოვიდან სპეციალური „ილ-18“ თვითმფრინავით ვოლგოგრადში ჩამოვიდა ბრაზავილის კონგოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, ეროვნული რევოლუციური მოძრაობის პარტიის გენერალური მდივანი ალფონს მასამბა-დება.

ვოლგოგრადელები სტუმართმოყვარულად შეხვდნენ კონგოელი ხალხის წარმომადგენლებს.

◆

საბჭოთა დელეგაცია მოსკოვში დაბრუნდა

მოსკოვი, 21 აგვისტო. (საკდესი). დღეს მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ნ. შელუბინი.

დელეგაცია იყო ფხენიანში კორეის განთავისუფლების მე-20 წლისთავის ზეიმზე.

◆

ქლორაღი გაჰოუენა

მოსკოვი, 20 აგვისტო. (საკდესის კორ.). სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ერთ-ერთ პავილიონში დღეს უჩვეულო „შეჯიბრება“ დაიწყო. აქ წარმოდგენილია რუსეთის ფედერაციის, ბალტიისპირეთის, ამერკავკასიის, უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთისა და სხვა რესპუბლიკების ქალაქებიდან გამოგზავნილი მუსიკალური ინსტრუმენტები. თითოეულ დამთვალიერებელს შეუძლია გასინჯოს და შეადაროს ვიოლინის, როიალის, აკორდეონის, მრავალი ეროვნული ინსტრუმენტის ღირებულება. 350-მდე ექსპონატი „ეჯიბრება“ ერთმანეთს ტემბრის მრავალფეროვნებითა და გაფორმების მოხდენილობით.

ლენინგრადის ახლოს დაბა ვოეიკოვოში კოლტუშის ლამაზ გორაკებზე აღმართულია მთავარი გეოფიზიკური ობსერვატორიის საველე ბაზის შენობების, სათვალთვალო მოედნების, ლაბორატორიებისა და პავილიონების კორპუსები.

მკვლევარები ჰაერსა და ამინდის პრობლემების შესწავლაზე მუშაობენ.

ვოეიკოვოში მოდის დაკვირვების მთელი მასალები ჩვენი ქვეყნის 28 ოზონმეტრიული სადგურიდან, რომლებიც სხვადასხვა გეოგრაფიულ რაიონებშია.

სადგურები დაუცხრომლად აკვირდებიან დედამიწის ელექტრულ ველს. უახლესი აპარატურის საშუალებით საბჭოთა მკვლევარებმა უკვე დააგროვეს ძვირფასი მონაცემები, რომლებიც შუქს ჰფენს ატმოსფეროში ელექტრული მოვლენების თავისებურებებს.

• • •

სურათზე: აქტინომეტრიული ჯგუფის ინჟინერი ვალენტინა ზიმახა დგამს რადიაციული ბალანსის საზომ ხელსაწყოს.

ფოტო პ. ფედოტოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ცხაკაიელ მეჩაიეთა გამარჯვება

სერიოზული წვლილი შეიტანეს მოსწავლეებმა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის შესრულებაში. მათ შორის აღსანიშნავია სოფელ უშაფათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში მოსწავლეთა მამაცობა.

ამ პირველ სურათზე (მარცხნივ) აღბეჭდილია მოსწავლე ემზარ გაბელია, რომელმაც დღემდე 1.800 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. სურათზე მარჯვნივ თქვენ ხედავთ ამავე სოფლის მოსწავლეებს — დებს ნაზი და სვეტლანა გაბელიებს.

ფოტო ა. ჩარკვიანისა.

გეგმის გადამეტებით იქნება 1.000 ტონა ჩაი

საუბარი პარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველ მდივანთან ამხ. ნ. შონიასთან

რესპუბლიკის მეჩაიეთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, — განაცხადა „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტთან საუბარში პარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. შონიამ. — ჩვენმა მეჩაიეებმა ახალ გამარჯვებას მიაღწიეს. საქართველოს მრეწველობასთან ერთად ცხაკაიელი მეჩაიეები შრომითს ვახტზე დგანან და იმისათვის იბრძვიან, რომ ახალ წარმატებებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავს.

შვიდწლედის დამამთავრებელ წელს მოპოვებულია სერიოზული გამარჯვება. რაიონის მეჩაიეებმა გადაჭარბებით შესრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. **21 აგვისტოს ჩათვლით მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 3.552 ტონა „მწვანე ოქრო“ ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 3.540 ტონისა.** გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით მოკრეფილია 600 ტონით მეტი ნედლეული. მოკრეფილი ფოთლის პირველმა ხარისხმა 73 პროცენტს გადაჯარბა.

ხარისხოვანი ნედლეულის დამზადებამ ფაბრიკებს შესაძლებლობა მისცა სურნელოვანი ქართული ჩაი მიაწოდონ მომხმარებელს.

ცხაკაიას ჩაის ფაბრიკამ მეორე კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით მიიღო საქართველოს სახალხო მეურნეობის რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და 1.400 მანეთი ჯილდო, აგრეთვე საქართველოს კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და ტრესტ „საქჩაის“ გარდამავალი წითელი დროშა. იგი ორი დროშის მფლობელი გახდა.

წლიური გეგმის შესრულებაში თავი ისახელეს **ზანის** ყადანოვის სახელობის კოლმეურნეობამ და **ხორშის** კოლმეურნეობა „გამარჯვებამ“ (თავმჯდომარეები სოციალისტური შრომის გმირი **ვ. კუპრეიშვილი** და **ალ. გვასალია**). ზანის კოლმეურნეობამ მოკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარა 620 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, გეგმა კი 615 ტონას ითვალისწინებდა. მოკრეფილი ფოთლის პირველმა ხარისხმა 73 პროცენტი შეადგინა. ზანელმა მეჩაიეებმა შარშანდელთან შედარებით 101,3 ტონით მეტი ხარისხოვანი ჩაის ნედლეული მოკრიფეს.

ხორშის კოლმეურნეობამ წლიური გეგმით გათვალისწინებული 432 ტონის ნაცვლად მოკრიფა 460 ტონამდე ნედლეული. ეს კი შარშანდელზე 62 ტონით მეტია.

დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმები **ფოცხოს** კიროვის სახელობის (თავმჯდომარე აგრონომი **ირ. ჭაკვა**), **ზხეფის** (თავმჯდომარე **მ. შუროლაია**), **თეკალთის** ჭავჭავაძის სახელობის (თავმჯდომარე **ხ. გრიგოლია**), **ახალსოფლის** (თავმჯდომარე **კ. გვასალია**) და სხვა კოლმეურნეობებმა.

აღსანიშნავია, რომ რაიონის ყველა კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, ბრიგადა, ადამიანები დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ჩაის ფოთლის კრეფის წლიურ გეგმას.

შრომის დიდების წიგნში 40 კაცი შევიტანეთ. აქედან 10 მეჩაიეა, დანარჩენნი — ბრიგადირები და მეურვეურები. ამ ათეულში შეტანილი არიან საქვეყნოდ განთქმული ნოვატორი მეჩაიეები სოციალისტური შრომის გმირი **ტატიანა ტყებუჩავა**, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **კლარა ბუკია, თამარ გაბელია, ციალა ნოდია, ციცინო ტყებუჩავა, ეუფუნა სანაია** და სხვები.







„ეროვნული ბიბლიოთეკა“

გულითადად ულოცავენ მოძმე ხალხს

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ა. ი. მიკოიანმა და ა. ნ. კოსიგინმა დეპეშა გაუგზავნეს ამხანაგებს ნიკოლაე შაუჩესკუს, კივუ სტოიასა და იონ გეორგე მაურერს. დეპეშაში გულითადად ულოცავენ რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ახალი კონსტიტუციის მიღებასა და რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადებას. ისინი მოძმე რუმინელ ხალხს უსურვებენ ახალ წარმატებებს სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიკოიანმა დეპეშა გაუგზავნა კივუ სტოიას და მიულოცა რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ არჩევა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი თავის დეპეშაში გულთბილად ულოცავს იონ გეორგე მაურერს და ყოველივე საუკეთესოს უსურვებს რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის გამო. (საკდესი).

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲝᲗ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ?

როგორი უნდა იყოს საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის ცენტრალური ნაწილი, როგორ გავაშენოთ იგი? ეს საკითხები დგას ყველას წინაშე, ვინც მონაწილეობს მიიღებს სრულიად საკავშირო ღია კონკურსში, რომელიც სსრ კავშირის სახმშენმა გამოაცხადა სრულიად საკავშირო აღკკ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირთან ერთად.

კონკურსს მიზანია შეიმუშაოს ახალი რაციონალური ტიპის გადიდებულ შენობათა საპროექტო წინადადებანი.

საუკეთესო ტიპის პროექტებისათვის გათვალისწინებულია ერთი პირველი პრემია — 1.200 მანეთი, მეორე პრემია — 800 მანეთი, ორი მესამე პრემია — 400-400 მანეთი, სამი წამახალისებელი პრემია — ას-ასი მანეთი. პროექტები შეიძლება გაეგზავნოს სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირს ამა წლის 20 ნოემბრამდე.

(საკდესის კორ.).

მოსკოვი.

◆

მოტივტივე გურჯეგი

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲒᲐᲖᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ხაზების მშენებლობის პრაქტიკაში პირველად საბჭოთა ინჟინრებმა გამოიყენეს მოტივტივე სამირკველზე დადგმული საყრდენის ვარიანტი. ამ სიახლის ტექნიკური პროექტი შეიმუშავა „ენერგოქსელპროექტის“ ურალის ინსტიტუტის განყოფილებამ, ხოლო დანერგეს სვერდლოვსკ-ნიჟნი ტაგილის ენერგოტრასის მშენებლებმა.

1966 წელს სვერდლოვსკ-ნიჟნი ტაგილის ხაზის სადენებით ვოლგისის ვ. ი. ლენინის სახელობის ჰიდროელექტროსადგურის ენერგია მივა ჩრდილოეთ ურალში.

(საკდესის კორ.).

ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲕᲢᲔᲮᲗ

მიმდინარე სეზონისათვის მზადება ჩვენს კოლმეურნეობაში დროულად დაიწყო. სანიმუშოდ დამუშავებულმა პლანტაციებმა უხვად მოისხა ჭორფლი დუყები და ჩვენც სწორად მოვაწყეთ ჩაის ფოთლის კრეფა.

წლიური გეგმა 432.000 კილოგრამი ნედლეულის დამზადებას ითვალისწინებდა. ამ საპატიო დავალების გასანაღდებლად მთელი ძალების მობილიზაცია მოგვახდინეთ. შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი საათი უქმად არ დაგვიარაღვეს. კოლმეურნეობამ ვადაზე ადრე გადაჭარბებით გაანაღდა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალება. უკვე მოკრეფილი აქვს 438.238 კილოგრამი „მწვანე ოქრო“.

ამ წარმატებაში განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანეს **ვ. ჭითავამ** და **ბ. გუგუნავამ** ბრიგადებმა. ვ. ჭითავას ბრიგადამ 86.000 კილოგრამის ნაცვლად 89.193 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, ბ. გუგუნავას ბრიგადამ — 108. 414 კილოგრამი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა **კლარა ბუკიამ** ნახევარ ჰექტარ პლანტაციაზე 4.178 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 3.000 კილოგრამისა. მისი ვალდებულება სეზონის ბოლომდე კიდევ მოკრიფოს 1.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ასევე ისახელა თავი **ვალი სანაიამ**. მან უკვე მოკრიფა 3.600 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს მეჩაიეებმა **ნ. კაზარიანმა, ზ. ფაჩულიამ, შ. მიგინეიშვილმა, ო. კაშბაძემ** და სხვებმა.

ალბეულ ტემპს არ შევანელებთ. სეზონის ბოლომდე სახელმწიფოს დამატებით მივცემთ 70 ტონა ჩაის ნედლეულს.

Ა. ᲒᲕᲐᲡᲐᲚᲘᲐ.

ცხაკაიას რაიონის სოფელ ხორშის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ თავმჯდომარე.

ᲐᲠᲐᲑᲔᲗᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲬᲠᲗᲝᲒᲐ

რესპუბლიკური თათბირი პარტიული განათლების საკითხებზე

◆

მარქსიზმ-ლენინური სწავლის ორგანიზაციის საკითხებს, პარტიული განათლების 1964-1965 წლების შედეგებსა და ახალი სასწავლო წლის ამოცანებს მიეძღვნა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც 20 აგვისტოს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში. თათბირში მონაწილეობდნენ პარტიის სოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები იდეოლოგიური მუშაობის საკითხებში, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეები, პარტიული განათლების კაბინეტების გამგეები, პროპაგანდისტები, ლექტორები.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ შ. გაგოშიძემ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა მ. ხვიოლამ, პარტიის მახარაძის რაიკომის მდივანმა ნ. ფდინარაძემ, საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა რ. მეტრეველმა, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანმა ა. კარანაძემ, საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ე. ჯაბარაკიძემ.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ გაზეთ „იზვესტიის“ კორესპონდენტს ნ. პ. ხოხლოვს, რომელმაც გაუზიარა მათ აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის კონგოში ყოფნის შთაბეჭდილებანი.

თათბირის შედეგები შეაჯამა თავის გამოსვლაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა პ. ა. როდონინგმა.

თათბირში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ინსტრუქტორი ი. პ. კირიჩენკო.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 21 აგვისტო. (საკდესი). დღეს მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ნ. შელუბინი.

დელეგაცია იყო ფხენიანში კორეის განთავისუფლების მე-20 წლისთავის ზეიმზე.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲑᲐ

21 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მეჟავანაძემ მიიღო მალის რესპუბლიკის ხელმძღვანელ სახელმწიფო და პარტიულ მოღვაწეთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ეროვნული კრების დეპუტატი პატე ტურე. გაიმართა მეგობრული საუბარი, რომელმაც გულითადობის ვითარებაში ჩაიარა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით ვ. პ. მეჟავანაძე გულთბილად მიესალმა დელეგაციის წევრებს. მან ქართველი ხალხის სახელით ყოველივე საუკეთესო უსურვა აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოს — მალის რესპუბლიკას, თავისუფლებისმოყვარე მალიელ ხალხს, რომელმაც პარტია „სუდანის კავშირის“ ხელმძღვანელობით დიდი ბრძოლისა და მსხვერპლის ფასად მოიპოვა დამოუკიდებლობა.

ვ. პ. მეჟავანაძემ გამოთქვა რწმენა, რომ დელეგაციის საბჭოთა კავშირში ყოფნა ნაყოფიერი და სასარგებლო იქნება. საბჭოთა ადამიანები, თქვა მან, განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებენ თვალს მალიელი ხალხის წარმატებებს ახალი ცხოვრების მშენებლობაში. მათ იციან, თუ რა დიდი წვლილი შეაქვს მალის რესპუბლიკის მეთაურს, პარტია „სუდანის კავშირის“ გენერალურ მდივანს მოდიბო კეიტას რესპუბლიკის ეროვნული დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ერთობის კიდევ უფრო განმტკიცებაში, მალიელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის მეგობრობის განვითარებასა და დამკვიდრებაში.

საბჭოთა კავშირი, ხაზგასმით აღნიშნა ვ. პ. მეჟავანაძემ, დიდი თანაგრძნობით ეკიდება აფრიკის ყველა ხალხს, რომელიც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან. საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს, თქვა მან, თქვენ ბევრი რამ ნახეთ, შეიტყეთ. თქვენ დარწმუნდით, რომ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური იდეების სულისკვეთებით აღზრდილი საბჭოთა ხალხი სულით და გულით თანაუგრძნობს ხალხებს, რომლებმაც მოიშორეს კოლონიური და ნახევრად კოლონიური უღელი. ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში თქვენ იგრძნობთ, თუ რა გულწრფელი, მეგობრული გრძნობით ეკიდებიან საბჭოთა ადამიანები მოძმე მალიელ ხალხს.

საპასუხო სიტყვაში დელეგაციის მეთაურმა, მალის რესპუბლიკის ეროვნული კრების დეპუტატმა პატე ტურემ თქვა:

— მთავრდება ჩვენი ვიზიტი თქვენს მშვენიერ რესპუბლიკაში. არ შეგვიძლია დავტოვოთ იგი ისე, რომ არ გამოვთქვათ ჩვენი გრძნობები.

პატე ტურემ თქვა, რომ დელეგაციამ იმოგზაურა თბილისიდან ალაზნის ველამდე. ჩვენ მოვვხიბლა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აყვავებამ და ზვრებმა, ბაღებმა, საქართველოს მომაჯადოებელმა ბუნებამ. ვიყავით ქარხანასა და უმაღლეს სასწავლებელში, ყოფილ ავლაბრის არალეგალურ სტამბაში, სადაც შევიტყეთ, თუ რა რევოლუციური ტრადიციები ჰქონია ქართველ ხალხს. ვესაუბრეთ რესპუბლიკის ხელმძღვანელებს. ჩვენ ბევრი აღმოფრთოვანებელი შთაბეჭდილება დაგვრჩა. სულით და გულით ვამაყობთ თქვენი წარმატებებით. ეს აღგვფრთოვანებს იმისათვის, რომ განვახორციელოთ ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახული ამოცანები.

შემდეგ პატე ტურემ თქვა:

— თქვენში თავს ვგრძნობდით როგორც შინ. საბჭოთა ადამიანები ჩვენდამი იჩენდნენ გულითად მეგობრობას, სიმპათიასა და სიყვარულს. ყოველი თქვენი წარმატება ხელს უწყობს ჩვენს პროგრესს, რადგან ჩვენი გულწრფელი მეგობრები ხართ. საბჭოთა ქვეყანა მთელი მსოფლიოს მშვიდობის ბურჯია. ჩვენი ვიზიტი კიდევ ერთი ნიშანსვეტი იქნება მალიელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის მეგობრობის განმტკიცების გზაზე.

საუბარს დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე შ. ე. გაგოშიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე ჯ. ნ. ლომაშვილი. (საკდესი).

◆

მალის რესპუბლიკის დელეგაცია თბილისიდან გაემგზავრა

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 21 აგვისტოს, საქართველოს სს რესპუბლიკაში ექვსი დღის ყოფნის შემდეგ თბილისიდან ბაკოს გაემგზავრა მალის რესპუბლიკის ხელმძღვანელ სახელმწიფო და პარტიულ მოღვაწეთა დელეგაცია ეროვნული კრების დეპუტატის პატე ტურის მეთაურობით. (საკდესი).

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲛᲔᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ ᲐᲠᲐᲑᲔᲗᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲬᲠᲗᲝᲒᲐ

ᲛᲔᲒᲑᲠᲝᲚᲝ ვიეტნამი! მთელი საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა სულითა და გულით თანაუგრძნობენ შენ, ამ ვიეტნამელ ხალხს, რომელიც იბრძვის ამერიკელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ, თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა თვის. სოლიდარობის, მეგობრობისა და სიმპათიის ეს გრძნობები დიდი ძალით გამოვლინდა გუშინ, 21 აგვისტოს, როცა საქართველოს დედაქალაქი შეხვდა თავისუფლებისმოყვარე ვიეტნამელი ხალხის წარმომადგენლებს — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების ოფიციალური დელეგაციის წევრებს.

თბილისის აეროპორტის ფლაგშტოკებზე აღმართულია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმები. ვიეტნამელ მეგობართა მისასალმებლად აქ მოვიდა ქალაქის მშრომელთა ბევრი წარმომადგენელი. შემხვედრთა შორის არიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ს. ძოწენიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. ი. ფრუნიძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. ა. სალუქვაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გიგოშვილი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

20 საათსა და 30 წუთზე აეროდრომზე დაეშვა ლენინგრადიდან მომფრენი თვითმფრინავი. თვითმფრინავიდან გამოდიოდნენ დელეგაციის მეთაური, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ზოანგ ვან ნანი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის ბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის ბიუროს წევრი ფამ ვან ბატი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების დეპუტატი, ვიეტნამის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობის წევრი ფოსუან შანი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის წევრი და მუდმივი კომიტეტის მდივანი ჩან დინ ჩი.

ვიეტნამელ მეგობრებთან ერთად ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი დ. პ. გორიუნოვი, რომელიც თან ახლავს დელეგაციას საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს.

შემხვედრნი გულითადად მიესალმნენ ზ ოანგ ვან ზოანსა და ვიეტნამელი ხალხის სხვა წარმომადგენლებს. სტუმრებს ყვავილები მიართვეს.

სტუმრებს მიესალმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. ა. სალუქვაძე. მან თქვა, რომ საქართველოს მშრომელები აღტაცებული არიან ვიეტნამელი ხალხის გმირული ბრძოლით, რომელსაც ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ აწარმოებენ. დარწმუნებული ვართ, რომ ვიეტნამელი ხალხი მამაცურად გადალახავს ყველა სიძნელეს და გაიმარჯვებს ამერიკელ ინტერვენტთა წინააღმდეგ სამართლიან ბრძოლაში. თქვენს მხარეზეა, ძვირფასო ვიეტნამელო მეგობრებო, ყველა საბჭოთა ადამიანის მხურვალე თანაგრძნობა, მხარდაჭერა, სიყვარული.

საპასუხო სიტყვაში დელეგაციის მეთაურმა, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ზოანგ ვან ზოანმა განაცხადა, რომ ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ვიეტნამელ ხალხს მხარში უდგას საბჭოთა ხალხი.

ჩვენ ჩამოვედით აქ, თქვა მან, რომ ხელი შეეწყოთ ჩვენი ხალხების მეგობრობის განმტკიცებას, ვნახოთ, თუ როგორ აშენებენ საბჭოთა ადამიანები კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

ვისარგებლებთ ჩვენი ვიზიტით, თქვა შემდეგ ზოანგ ვან ზოანმა, და გაიმეორებთ, როგორ ვებრძვით ამერიკელ აგრესორებს. მინდა გითხრათ, რომ ვიეტნამელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განდევნოს თავისი მიწა-წყლიდან ამერიკელი ოკუპანტები.

ნება მიბოძეთ ვიეტნამელი ხალხის ძმური სალამი გადმოგცეთ თქვენ და თქვენი სახით თბილისის ყველა მშრომელს, მთელ ქართველ ხალხს.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელნი ავტომობილებში ჩასხდნენ და ქალაქისაკენ გაემართნენ. თბილისელები მხურვალედ, სულითა და გულით მიესალმებოდნენ შორეული, მაგრამ საბჭოთა ადამიანებისათვის ახლობელი ვიეტნამის წარმომადგენლებს. (საკდესი).

ᲛᲐᲚᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

ᲑᲣᲜᲘ, 21 აგვისტოს, საქართველოს სს რესპუბლიკაში ექვსი დღის ყოფნის შემდეგ თბილისიდან ბაკოს გაემგზავრა მალის რესპუბლიკის ხელმძღვანელ სახელმწიფო და პარტიულ მოღვაწეთა დელეგაცია ეროვნული კრების დეპუტატის პატე ტურის მეთაურობით. (საკდესი).

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 21 აგვისტო. (საკდესი). დღეს მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ნ. შელუბინი.

დელეგაცია იყო ფხენიანში კორეის განთავისუფლების მე-20 წლისთავის ზეიმზე.

ᲜᲐᲡᲔᲠᲘ ᲡᲐᲣᲓᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 21 აგვისტო. (საკდესი). დღეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი აღექსანდრიიდან საუდ

საერთაშორისო ცხოვრება

სუკარნოს შეხვედრა კ. ტ. მაზუროვთან

ჯაკარტა, 20 აგვისტო. (საკდესი). დღეს საღამოს მერდეკის სასახლეში მეორედ შეხვდა პრეზიდენტი დოქტორი სუკარნო საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მეთაურს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს კ. ტ. მაზუროვს. მათ განაგრძეს აზრთა გულახდილი გაზიარება ორივე ქვეყნისათვის საინტერესო საკითხებზე. შეხვედრამ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ვიცხოვროთ მშვიდობიანად და მეგობრულად

სტამბული, 20 აგვისტო. („საკდესი"). „პრეზიერ-მინისტრის ს. ურგიუპლუს ვიზიტი საბჭოთა კავშირში მეტად სასარგებლო აღმოჩნდა ჩრდილოელებ მეზობელთან ჩვენი ურთიერთობის განვითარების თვალსაზრისით", — წერს გაზეთ „ჯუმჰურიეთის" მიწინაკე სტატიაში სენატორი ნადირ ნადი, რომელიც ამას წინათ იყო საბჭოთა კავშირში. იმ დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც მეთაურობდა თურქეთის პრემიერ-მინისტრი. ნ. ნადი წერს თავის შთაბეჭდილებებზე და აღნიშნავს: „საბჭოთა ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების დროს დავინახეთ — საბჭოთა რუსეთს სურს, რომ დედამიწაზე იყოს მტკიცე მშვიდობა". თურქ ხალხს, ხაზგასმით აღნიშნავს ნ. ნადი, არ სურს ომი. ათათურქმა და ლენინმა, წერს შემდეგ სენატორი, ერთად ჩაუყარეს საფუძველი თურქეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას. ამ მეგობრობას ხანგრძლივი დროის განმავლობაში სარგებლობა მოჰქონდა როგორც ჩვენი ორი ქვეყნისათვის, ისე მეზობელი სახელმწიფოებისათვისაც. ჩვენ უნდა ვეცადოთ, წერს დასასრულ ნ. ნადი, არ გადავუხვიოთ იმ გზას, რომელიც დასახა ათათურქმა და ძალღონე არ დავიშუროთ, რათა კიდევ უფრო განვავითაროთ ეს ურთიერთობა.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის შ. ვ. მიქატაძის
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარების საქმეში დამსახურებისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი შოთა ვლადიმერის-ძე **მიქატაძე** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1965 წლის 20 აგვისტო.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. ბ. ბამხარაშვილის
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქვანახშირის მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს „ბოსტანჯაშთესლის" რესპუბლიკური გაერთიანების უფროსი ამხ. მიხეილ ბესარიონის-ძე **ალავერდაშვილი** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1965 წლის 20 აგვისტო.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ო. ი. ბოსაშვილის
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს „ბოსტანჯაშთესლის" კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომასარის სახელობის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. თეიმურაზ ილიას-ძე **ბოსაშვილი** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1965 წლის 20 აგვისტო.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. მ. ბ. ალავერდაშვილის
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს „ბოსტანჯაშთესლის" რესპუბლიკური გაერთიანების უფროსი ამხ. მიხეილ ბესარიონის-ძე **ალავერდაშვილი** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1965 წლის 20 აგვისტო.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

პროფესორ ი. ი. შტაერმანის
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის პროფესორი იული იაკობის-ძე შტაერმანი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1965 წლის 20 აგვისტო.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. თ. ი. მოსაშვილის
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს „ბოსტანჯაშთესლის" კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომასარის სახელობის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. თეიმურაზ ილიას-ძე **მოსაშვილი** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1965 წლის 20 აგვისტო.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. ბ. ბამხარაშვილის
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქვანახშირის მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს „ბოსტანჯაშთესლის" რესპუბლიკური გაერთიანების უფროსი ამხ. ანატოლ გიორგის-ძე **ბამხარაშვილი** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1965 წლის 20 აგვისტო.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. ბ. ბამხარაშვილის
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქვანახშირის მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს „ბოსტანჯაშთესლის" რესპუბლიკური გაერთიანების ინჟინერ-ტექნიკოსი ამხ. ალექსანდრე ბესიკის-ძე **ბამხარაშვილი** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1965 წლის 20 აგვისტო.

დიდი ბრიტანეთის კომპარტიის ყრილობის წინ

ლონდონი, 21 აგვისტო. (საკდესი). ინგლისში უადრესად საჭიროა დაიწყოს ფართო სახალხო მოძრაობა, რომელშიც შეიკრებენ მთელი პროგრესული და დემოკრატიული ძალები, ნათქვამია პოლიტიკური რეზოლუციის პროექტში, რომელსაც წარუდგენენ დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის 29-ე ყრილობას. ყრილობა გაიმართება ლონდონში 27-30 ნოემბერს.

რეზოლუციის პროექტში აღნიშნულია, რომ ხელისუფლების სათავეში ლეიბორისტია ყოფნის ერთი წლის შემდეგ, ლეიბორისტულ მთავრობას უნარი არ შესწევს გადაწყვეტოს ინგლისის წინაშე მდგომი ამოცანები. ამასთან დაკავშირებით წამოყენებულია მოთხოვნები, რომ შეიცვალოს ძალთა თანაფარდობა ლეიბორისტულ მოძრაობაში, დაითრგუნოს პარტიის მემარჯვენე ფრთის ბატონობა და უზრუნველყოფილ იქნეს მემარცხენე პროგრესული პოლიტიკის გამარჯვება.

რეზოლუციის პროექტში შეიცავს პროგრამას, თუ რა ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ, რათა შეიცვალოს ინგლისის საგარეო და საშინაო პოლიტიკა. სგგარეო პოლიტიკის დარგში პროგრამაში შეტანილია შემდეგი მოთხოვნები: დაგბოს ამერიკის ომიანობა ვიეტნამში, მოითხოვოს იქიდან ამერიკის ჯარების გაყვანა და ჟენევის შეთანხმებათა დაცვა; შეწყვიტოს კოლონიური ომები, მოსპოს ბაზები, გაიყვანოს ჯარები მალაიზიიდან და სხვა რაიონებიდან; შეამცირონ შეიარაღების ხარჯები; დახურონ „პოლარისის" ბაზები ინგლისში და გაიყვანონ ამერიკის ჯარები; გაიფანტონ ატლანტიკური ატომური ძალების, მრავალმხრივი ატომური ძალებისა და სხვა გეგმების წინააღმდეგ, რომელთა მიზანია დასავლეთ გერმანიას ხელში ჩაუგდონ ატომური იარაღი, უარი თქვან საკუთარ ატომურ იარაღზე და მიაღწიონ ატომური იარაღის საერთაშორისო აკრძალვას; ცნონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, გაიყვანონ ინგლისის ჯარები დასავლეთ გერმანიიდან და სხვა მოთხოვნები.

რეზოლუციის პროექტში წამოყენებულია ინგლისის რადიკალური ეკონომიური რეკონსტრუქციის პროგრამა, რომლის პირობაა მსხვილ მონოპოლიათა ბატონობის მოსპობა. ეს მონოპოლიები, მსხვილი ბანკები და სადაზღვევო საზოგადოებანი, მსხვილი მიწათმფლობელობა ნაციონალიზებულ უნდა იქნეს. რეზოლუციის პროექტში დასახულია ამოცანები სოციალურ დარგში, ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საჭიროა მრძოლა რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ, წამოყენებულია მოთხოვნა, რომ საჭიროა საარჩევნო რეფორმის განხორციელება პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე.

რეზოლუციის პროექტში აღნიშნულია, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობას. „ჩვენ, — ნათქვამია პროექტში, — ვადასტურებთ ჩვენი მომავალი ყრილობის გადწყვეტილებას ძალღონე არ დავიშურთოთ იმისათვის, რომ ფიდელ კასტროს, ალბერ კამიუს, ერნესტ ტოლერის, ანტონიო გრამშის, ბერტოლტ ბრეხტის, ალბერ ეინშტაინ-ის, ბერტრან რასელ-ის, ჯონ ბერნალ-ის, ფრედერიკ ჟოლიო-კიურის, ლუი არაგონ-ის, ბენიამინ ბრიტენ-ის, ანა ზეგერს-ის, ალბერტ ეინშტაინ-ის, ბერტოლტ ბრეხტ-ის, ალბერ კამიუ-ს, ანტონიო გრამშ-ის, ფიდელ კასტრო-ს, ალბერ

ᲙᲔᲜᲭᲘᲕᲘᲗ ᲛᲐᲒᲐᲠᲘ

ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ აჭარისწყლის მარცხენა ნაპირზე, ქედან ზემოთ, ლამაზი სოფელი დანდალოა. სოფლის ბოლოს ორ კლდეში მოქცეულ მდინარეზე დღესაც ამაყად დგას თამარის ხიდი. იგი თითქოს ჩაზრდია კლდეს, ლოდები ლოდებს შედუღლებია, გაკეკვებულ კირს ხასხასა ხავსი გადაფარებია.

ამ ხიდზე ბევრი გვირბენია მე და შაქრო ცინცაძეს.

შაქრო მაღალი, კუნთმაგარი, მაგრამ ერთი შეხედვით სუსტი აგებულების პირხმელი ჯაბუკი იყო. მის არაჩვეულებრივად ლამაზ სახეს დიდი ხუჭუჭა ქოჩორი შვენოდა. ჩვენ ხშირად ჩამოვსხდებოდით თამარის ხიდთან. რვაასი წლის ქვაკერის თითებით ვსინჯავდით: მისი უხეში ხაო გვიხაროდა, მისი მიუკარებელი სიმაგრე გვაოცებდა.

— აი ასე მაგარი ვიყო მინდა, — მეტყოდა ოცნებაში წასული შაქრო.

შემდეგ მან ცხმორიხის სახოფლო ფოსტაში დაიწყო მუშაობა. ხუთრობა ხომ არ იყო, — შვიდწლედი ჰქონდა დამთავრებული.

კიდევ რამდენიმე წუნარი წელიწადი, და ივნისის ერთ სიცხიან დილას, მტვერში მიმავალი სატვირთო მანქანიდან ვიღაცამ ფოსტასთან მდგომ შაქროს გადმოძახა, ომი დაიწყოო.

პირველად ეს უცნაურად მოეჩვენა, ვერც კი დაიჯერა, ეგონა, ალბათ ამაღამ კინოსურათს გვიჩვენებენ ომზეო, მაგრამ მეორე დღეს დაუძახეს...

— ნუ გეშინია... — აწუნარებდა დედას და ჩუმად ჯიბეში ხელს უსვამდა თამარის ხიდთან აღებულ პატარა კენჭს.

დანდალოელ ბიჭებთან ერთად გაემგზავრა ყველაზე მრისხანე მისამართით — ომში.

ასე იყო მაშინ.

ახლა?

გაიღო კარი და ჩემთან შემოვიდა მაღალი, ხმელ-ხმელი შუახნის მამაკაცი. იგი თვალებით მიღიმის და ოდნავ შეთხელებულ ხუჭუჭა თმაზე ხელს ისვამს. ისევ ჯაბუკურად მორცხვია, მორიდებული. მოკრძალებით ჯდება. შაქრო ცინცაძეა, გონიოში ცხოვრობს მრავალრიცხოვანი ოჯახით.

— ხომ არ მოგაცდენ? — მეკითხება.

— მითხარი, შაქრო...

თვალებს დაბლა ხრის, რაღაცაზე ფიქრობს, ისევ მიუურებს, სახეზე მალული სევდა ეპარება.

— ოცი წელი ვითომ არაფერია, მაგრამ ძალიან დიდი ხანია... წამოდი ცოტა ჩამოვსხდეთ, პური გავტეხოთ. ბიჭებს მოვიგონებ, ადგილებს ვახსენებ, გულს მოვიფხან...

არ გავუტეხე ხათრი.

1941 წლის აგვისტოში, უკრაინის ქალაქ ნიკოლაევთან, ტანკის ღრმა ნაკვალევში მოცელილივით წაიქცა ჯაბუკი მეომარი. მისი მოღლილი, ოფლიანი სახე მრისხანე მუხლუხებით მოთხრილი ნედლი მიწის გრილ გოროხებზე ესვენა. ქუდი თხრილში გადავარდა, მიწისფერი ხუჭუჭა ქოჩორი ჩამოეშალა. იქვე ახლოს ბომბი აფეთქდა, დაკრილს მიწის ბელტები გადაეყარა. ვიღაცის კენესა გაიგონა. მახაც უნდოდა შველა ეთხოვა, უკვე გრძნობდა საშინელ მწვავე ჭრილობას. მაგრამ რატომღაც მისი ერთი ხელი ნელა შარვლის ჯიბისაკენ გაძვრა. იქ შენახულ პაჭანინა კენჭს მოუსვა თითები და უცნაური ჯადოსნური ძალა შეიგრძნო. ეს თამარის ხიდთან აღებული კენჭი იყო, აჭარისწყლის ნაპირზე.

დახეთქილ-დასერილ მიწაზე იწვა და იმ მიწასთან ერთად თვითონაც დარჩა ფრონტის იქით.

ტყეში ბანაკი რუმინეთში, ქალაქ იასთან, ავსტრიაში, გერმანიაში. გაქცევის ცდა. შვიდს ხვრეტენ, ორი მიიმალება, მაგრამ მეექვსე დღეს სულ სხვა ტყეეთა ბანაკის მცველები დაიჭერენ. ერთი მათგანი შაქრო იყო. ცემისგან დალურჯებული, მშიერი, ნახევრადშიშველი, სხვა განაწამებ თანამემამულეებთან ერთად დახურული საბარგო ვაგონებით სადღაც წაიყვანეს. სამ დღეს კარი არავის გაუღია, ზოგმა ვერ გაუძლო. გვამები თვალწინ იბრწყნება. საშინელებაა.

ვიღაცეები ამბობენ აღმოსავლეთისაკენ მიეყვანართო. გამოუცნობი იმედის მალული ნაპერწკალი ერუანტელად უვლის სხეულს. აღმოსავლეთი! იქ ხომ საშობლოა.

ერთ დილით კარს აღებენ. ირგვლივ უსაზღვრო ტყეა. მაგრამ თითქოს ელფერით იმ თვალშეჩვეულ აღმოსავლეთს არა ჰგავს, ცოცხლებიც მკვდრებივით გადმოთრიეს. ვინც ფეხზე დადგომა შეძლო, ტყეში შერეკეს. ასწლოვან ხეებს ჭრიდნენ, მორებად ხევდნენ. მორებს წნელებით მიათრევდნენ...

მზე მაინც ამოდიოდა და ჩადიოდა ძველებურად. თუმცა დღეები საშინლად დაგრძელდნენ, ჰაერი აუტანელი გახდა. არა, ასე არ შეიძლება! აქ ყოფნა შეუძლებელია. უნდა გაიპაროს, მაგრამ როგორ, სით? სად იმყოფება ნეტავ?

შაქრომ ფრანგი ტყვეებისაგან გაიგო, რომ საფრანგეთში არიან, სადღაც ნანტის მახლობლად. საიდუმლო ვერავის გაუმხელია. ტყეში გასული, საღამოხანს გაიპარა, საშო ზონას გასცდა, მაგრამ დასახლებულ ადგილებში გამოჩენისა ეშინოდა. შვიდი დღე-ღამე ტყე-ღრეში ხეტიალი, ხის ძირებში ღამის თევა. მან სუსტად იცოდა, რომ წინააღმდეგობის მოძრაობა სუფრანგეთში ძლიერი იყო, სადღაც შორს, ტყეში თითქოს სროლის ხმაც გაისმოდა, მაგრამ მას მაინც არავინ შეხვედრია. ვიდრე ოდნავი ძალა შერჩენია, უნდა, ძალიან უნდა იმ მებრძოლებამდე მიაღწიოს. მათ შეუერთდეს. მათთან ერთად იბრძოლის. დაე ეს იყოს სხვისი სამშობლოსათვის ბრძოლა. მთავარია ვის წინააღმდეგ იბრძვი. ჩემს ქვეყანასაც და ამ ქვეყანასაც ხომ ერთი მტერი ჰყავს, — ფიქრობდა შაქრო.

ტყიდან სოფელში შევიდა. აი სახლიც. მაგრამ უკვე ძალადაცლილია, ჭანცაგაწყვეტილი. ძირს დაეშვა. შებინდებისას ერთი ახალგაზრდა თავზე წამოადგა. უცნობი კეთილად იღიმებოდა.

ეს იყო მუსიე მეგლი, ფრანგი მასწავლებელი, რომელიც პარტიზანებს ეხმარებოდა. იგი დარწმუნდა, რომ მის წინ საბჭოთა მეომარი იყო. მალულად სახლში შეიყვანა. გაათბუნ, დაანაყრეს, დაასვენეს, შემოხეს...

რამდენიმე დღეში შაქრო ფრანგ პარტიზანთა რაზმში მიიყვანა მეგლიმ. მას ბატალიონის უფროსი კაპიტანი დოსიუ შეეგება და განუცხადა, რომ სიამაყით იღებს თავის რაზმში გმირი წითელი არმიის მებრძოლს.

1944 წლის გაზაფხული იყო. ფრანგული წინააღმდეგობის მოძრაობა თანდათან ძლიერდებოდა. მოკავშირეთა ავიაციას პატრიოტებისათვის რეგულარულად მოაჭრდა შეიარაღება, ტექნიკა და სურსათი. საგანგებო ტვირთის დასაშვებ ადგილებს ფაშისტები ეძებდნენ და ხშირად სისხლისმღვრელი შეტაკებები იმართებოდა.

შაქრო მოსკოვს უსმენდა ხშირად, იცოდა ჩვენი გამარჯვების ამბავი. ამით აღფრთოვანებული იქ, საფრანგეთის მიწაზე, თავდადაც თავგანწირულად ებრძოდა ნაცისტ დამპყრობლებს. მალე პარტიზანთა შორის ნდობა და სიყვარული დაიმსახურა.

გაიჩინა მეგობრები. კარგად ახსოვს ლეიტენანტი პიერ ნოზაკი, ნანტელი ჯაბუკი მარსელ ადლი, კეთილი მოხუცი ლუი კერვანი, რომელიც, ჩამოხეული და წვერმოშვებული, ძველი ველოსიპედით დადიოდა „დიდ მიწაზე", ათასი ახალი ცნობა მოაქონდა, ახალი მებრძოლი მოაყავდა, მიღებული იარაღის საომედო შენახვას აწყობდა.

შაქროს განსაკუთრებით დაამახსოვრდა ორმოცდაოთხის 18 ივლისი. ტყეში, სადაც თვითმფრინავები იარაღს ყრიდნენ, ერთ-ერთი დაშვების შემთხვევით ტყვიან-წამალი აფეთქდა. გერმანელებმა შორიდან შენიშნეს საეკვო ადგილი. საღამოს პარტიზანთა ბანაკში საომღერო ფორმაში გამოწყობილი რამდენიმე კაცი მოვიდა. მათ განაცხადეს, რომ ფრანგები არიან და დღეს აფრიკიდან გადმოსხეს. პარტიზანები ასეთ შეთხვევებს მიჩვეული იყვნენ და ამიტომ ადვილად მიეწვნენ. ჯარისკაცებმა თქვეს, რომ საღლონამ მათ დაავალა იარაღის მიღება. ლუი კერვანი წინ წაუძღვა ჯარისკაცებს და მალე საკუთარ სახლთან მიიყვანა. მაგრამ, დახეთ, — უეცრად ჯარისკაცთაგან ორი უკვალოდ გაქრა. პარტიზანებმა ეჭვი აიღეს, თუმცა გვიანღა იყო. საღამოს იმ ადგილებს გერმანელებმა ალყა შემოარტყეს, და ენით აუწერელი სისხლისმღვრელი შეტაკება მოხდა. ფაშისტთა რაკეტს ფრანგები თანდათან ათხელებდნენ, მაგრამ მტერი მთელი ღამის განმავლობაში მაშველ ძალებს იღებდა, ხოლო მტერზე ხელჩართული იერიში მიტანა და კიდეც გაარღვია ალყა. ცინცაძე დაიჭრა, მაგრამ სიმამაცე ბოლომდე არ დაუკარგავს და თავისი ხიშტით ბევრი ფაშისტი გამოასალმა სიცოცხლეს. ბრძოლებში მამაცობისათვის შაქრო ცინცაძეს აჯილდოებენ ორდენით — სამხედრო ჯვრითა და ბრინჯაოს ვარსკვლავით. დაჯილდოების მოწმობას, რომელშიც ქებით მოხსენებულია ცინცაძის გმირობა, ხელს აწერს მეთერთმეტე სამხედრო ოლქის სარდალი, დივიზიის გენერალი ალერდი.

— ყველაფერს როგორ მოგიყვები, — მეუბნება შაქრო. — მახსოვს ომის დამთავრების დღე. სიხარული, საბჭოთა მოკალაქეების შემოკრეს პუნქტებში თანამემამულეებთან ამადელვებელი შეხვედრები. დაუვიწყარი გამომშვიდობება ფრანგ მეგობრებთან. განსაკუთრებით მაგონდება გამოთხოვება ნანტში. იქ ერთ ჩოჩქოლში ვართ. ამ დროს ვხედავ — ვიღაც ამბახი მოხუცი ხალხს მოარღვევს და ჩემს სახელს იძახის. უმალვე ვიცანი ჩემი კეთილი მოხუცი ლუი კერვანი. იგი თვალზე ცრემლმომდგარი მეხვეოდა და თან ჯიბეებს იქექდა, რამე სახსოვრად გაგატანო მინდიო, მე განზე გავედი, ძირს დავიხარე, ერთი პატარა ქვის კენჭი ავიღე და მოლელვარე ლუის ვუთხარი: — აი ამას წავიღებ სახსოვრად საბჭოთა სამშობლოში. მშვიდობა და ჩვენი მეგობრობა ამ კენჭივით მაგარი იყოს.

ᲤᲠᲘᲓᲝᲜ ᲮᲐᲚᲕᲐᲨᲘ.

ᲙᲐᲠᲘᲛᲧᲜᲐᲚᲘ ᲑᲘᲭᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲢᲐᲒᲘᲚᲘᲡᲐ ᲫᲣᲫᲣᲡ
ᲓᲔᲓᲐ ᲖᲕᲘᲚᲘᲡᲐ
ᲘᲛ ᲘᲛᲔᲓᲘᲗ
ᲐᲮᲝᲕᲔᲑᲓᲐ,
ᲠᲝᲛ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲗ
ᲐᲜ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲗ
ᲘᲡ ᲛᲐᲒᲣᲚ
ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲓᲐ.

ᲘᲚᲘᲐ.

ᲐᲛ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲡᲐ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘ

ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ

ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩვეულებრივად რეკავს ზარი, ლექციაზე უხმობს სტუდენტებს. და ისინიც აჩქარებით იკრეფენ აუდიტორიებში. იწყება მორიგი ლექცია.

დიახ, ლექცია. თუმცა სწავლა ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ აქ გარინდებულნი ისმენენ სტუდენტს. დოფეზე ჩნდება უამრავი ფორმულა, და კათედრიდან ერეკლე მეორის ეროვნ საკრებულოს ხან რუსული, ხან კი ინგლისური მეტყველების ბგერები ეფინება.

აუდიტორია გაჩუდილია. სიჩუმეში ისმის, როგორ შრიალებენ რვეულის ფურცლები. ახალგაზრდა და ხანშიშესული „სტუდენტები" ფორმულებს იწერენ. მაგრამ ესენი ჩვეულებრივი სტუდენტები როდი არიან, ყველა მათგანი მეცნიერია. მათ კარგახანია დატოვეს უნივერსიტეტების აუდიტორიები და ახლა ატომგულის ფიზიკაში მუშაობენ.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში წესად იქცა ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა ზაფხულის ან ზამთრის სკოლების მოწყობა. ამისათვის ირჩევენ დიდი ქალაქებიდან მოშორებულ, ლამაზ და მიმზიდველ მყუდრო ადგილებს, სადაც შეიძლება ნაყოფიერი მუშაობა, დასვენება. სწორედ ასეთი სკოლა მუშაობს ამჟამად თელავში — **ფიზიკოსთა ზაფხულის საერთაშორისო სკოლა.**

აქ შეხვდებით ფიზიკოსებს დუბნიდან და ლენინგრადიდან, თბილისიდან და სოხუმიდან, მოსკოვიდან და ვორონეჟიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და რუმინეთიდან, პოლონეთიდან და მონღოლეთიდან, ინგლისიდან და დანიიდან, უნგრეთიდან და ბულგარეთიდან. აქ არიან ახალგაზრდა ფიზიკოსები, რომლებიც ეს-ეს არის შეუდგნენ მეცნიერების ფრონტზე. მაგრამ ესენი ჩვეულებრივი სტუდენტები როდი არიან, ყველა მათგანი მეცნიერია. მათ კარგახანია დატოვეს უნივერსიტეტების აუდიტორიები და ახლა ატომგულის ფიზიკაში მუშაობენ.

— რით აიხსნება, რომ სკოლაში ამდენი ახალგაზრდაა და არა მარტო მსმენელთა შორის? — ვკითხეთ კრაკოვის უნივერსიტეტის ატომგულის ფიზიკის კათედრის გამგეს **ა. ხრინკევიჩს.**

— ეს ბუნებრივია, — ამბობს პოლონელი მეცნიერი, — ატომგულის ფიზიკა ახალგაზრდა მეცნიერებაა და თუ ახალგაზრდობა არა, ვინ უნდა ეძახაროს მას.

ცდებიან ისინი, ვისაც ფიზიკოსები მოწყენილ ადამიანებად წარმოუდგენია და ჰგონია, რომ ამათ ფიზიკის მეტი არაფერი აინტერესებთ ამ ქვეყნად. არა. ისინი უბრალო, მხიარული და მეტად ცნობისმოყვარენი არიან. მათ შეუძლიათ საათობით იკამათონ თანამედროვე არქიტექტურაზე და მაიაკოვსკის პოეზიაზე, კაფკას სტილზე და გოიას კაპრიჩოებზე.

თელავის ზაფხულის სკოლაში ლექციები დილის ცხრა საათზე იწყება, დღის პირველი საათიდან ხუთამდე შესვენება აქვთ. შესვენების დროს ფიზიკოსთა ნაწილი ავტობუსით ალაზანზე მიდის ფასაგრილებლად, ნაწილი კი სხვადასხვა ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად.

საღამოს კი, როცა სამუშაო დღე დამთავრდება, ცნობილი და ჯერ კიდევ უცნობი ფიზიკოსები პედინსტიტუტის სპორტულ მოედნებზე თავდავიწყებამდე თამაშობენ ფრენბურთს, კალათბურთს, ფეხბურთს, მაგიდის ჩოგბურთს. ხოლო ცვირაობით კვლავ ექსკურსიები იწყობა... უკვე ნახეს ალაკერდი, გრემი, ნეკრესი...

ბაიკალიანი ეახელთ გულგამლილად ეგებება სტუმრებს. თელავში ფიზიკოსებს ყველა თავაზიანად ესალმება. ერეკლეს ბალავნის კომკედან ალაზნის ველი ხელისგულივით გადაშლილა და მისი ხაეერდოვანი სიმშვიდე კავკასიონის მთების ბოლოსკენ იკარგება. აქ ხმაურად დგანან სტუმრები და თვალი ვერ მოუმორებიათ ამ სილამაზისათვის.

თელავის საზაფხულო სკოლა 28 აგვისტოს დაამთავრებს თავის მუშაობას. დაიშლებიან სტუმრები, თავიანთ ჩვეულებრივ საქმიანობის დროს ფიზიკოსთა ნაწილი ავტობუსით ალაზანზე მიდის ფასაგრილებლად, ნაწილი კი სხვადასხვა ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად.

ᲛᲝ. ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ.
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲡᲞᲔᲪ. ᲙᲝᲠᲗ.
ᲗᲔᲚᲐᲕᲘ.

ᲙᲕᲔᲛᲝᲗ ᲕᲐᲥᲕᲔᲣᲚᲔᲑᲗ ᲤᲘᲖᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲚᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲡ.

Ვ. ᲡᲝᲚᲝᲒᲕᲘᲝᲕᲘ,

ᲤᲘᲖᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ.

ᲕᲘᲖᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘᲗ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ 11 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲛᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲣᲚᲘᲗ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲓᲡᲙᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲥᲢᲐᲜᲐ. მეცადინეობა ნორმალურად მიმდინარეობს. ყველა ლექცია დიდ ინტერესს იწვევს. აქ შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ მუშაობა საინტერესო და საქმიანი იყოს.

თელავის სკოლის მიზანია გააცნოს მსმენელებს ატომგულის ფიზიკის უკანასკნელი მიღწევები, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც თავისი აქტუალობით ფართო ინტერესს იწვევს საეციალისტთა შორის.

სკოლაში 150 მეცნიერია, მათ შორის საკმაოდ ცნობილი ფიზიკოსები, რომლებიც ლექციებს კითხულობენ, და სკოლის მსმენელები არა მარტო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქიდან, არამედ აგრეთვე პოლონეთიდან, უნგრეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, მონღოლეთიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, რუმინეთიდან, ბულგარეთიდან.

ფიზიკოსთა ზაფხულის საერთაშორისო სკოლა მოეწყო დუბნის ატომგულის კვლევის გაერთიანებული ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით. მნდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო თელაველებს, რაიონის ხელმძღვანელებს, რომლებიც გულისხმიერებასა და სტუმართმოყვარეობას იჩენენ, მათ შესანიშნავი პირობები შეგვიქმნეს.

Დ. ᲑᲠᲘᲜᲙᲘ,

ᲝᲥᲡᲤᲝᲠᲓᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ.

ᲡᲙᲝᲚᲘᲡ შესახებ ბევრს ვერაფერს ვიტყვი, რადგან სულ ორიოდე დღეა, რაც ჩამოვედი. თუმცა ზოგიერთი შეხვედრა და საუბრები ჩემს კოლეგებთან მარწმუნებს, რომ ყველაფერი ისე იქნება, როგორც უნდა იყოს. ჩემი გამოსვლა სკოლის მსმენელების წინაშე ხვალ მოხდება. იმედი მაქვს ახოთა გაცვლა-გამოცვლა, საუბრები ნაყოფიერი იქნება.

საბჭოთა კავშირსა და საქართველოში პირველად ვარ, ამიტომ ყველაფერი მაინტერესებს. პირველი, რაც ვნახე, ეს სტუმართმოყვარეობა იყო. მეორე კი ისტორიული ძეგლების სიმრავლე. საქართველოს დიდი ისტორიული წარსული აქვს. თქვენი ცოცხ-სიმაგრეები, ასობით წლებს რომ ითვლის, ყველაზე ძველია იმათ შორის, რომლებიც კი ოდესმე მინახავს.

Გ. ᲤᲚᲐᲮᲘ,

ᲓᲠᲔᲖᲓᲔᲜᲘᲡ ᲐᲢᲝᲛᲒᲣᲚᲘᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ.

ᲕᲘᲖᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲠᲝᲛ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲐᲠᲐᲛᲐᲠᲢᲝ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲢᲝᲛᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲛᲘᲙᲐᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ. ᲩᲕᲔᲜ ᲐᲥ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲩᲐᲛᲝᲕᲡᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲐᲜ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲪᲝᲜᲝᲑᲘᲡᲛᲧᲐᲠᲔᲠᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ. ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲒᲐᲜᲪᲮᲠᲘᲚᲘ ᲘᲠᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲣᲙᲐᲠᲔᲑᲚᲘ ᲡᲘᲛᲐᲒᲠᲔ ᲒᲕᲐᲝᲪᲔᲑᲓᲐ.

ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲘᲡᲘᲗᲣᲠᲗᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲐᲢᲝᲛᲒᲣᲚᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ. ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠ ᲒᲐᲥᲕᲗ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲐᲒᲐᲠᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲒᲘᲠᲩᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲐ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: ფიზიკოსთა თელავის ზაფხულის საერთაშორისო სკოლის აუდიტორიაში. მიმდინარეობს მორიგი ლექცია.

ᲤᲝᲢᲝ Ი. ᲢᲝᲠᲘᲡᲐ.

ᲕᲔᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ „ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲡᲐᲣᲜᲯᲘ"

ᲒᲐᲜᲫᲘ ᲔᲜᲘᲡᲐ

ᲠᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲝᲒᲕᲪᲔᲛᲔᲜ ᲢᲝᲞᲝᲜᲘᲛᲔᲑᲘ

ᲓᲦᲔᲡᲐᲯᲐᲠᲘᲡ საკითხები აღძრა აკადემიკოსმა ნიკო კეცხოველმა. („ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ", № 148, 1965 წ.). აქ პატარა წერილში დიდი აზრია ჩაქსოვილი! მას აუღელვებლად ვერ წაიკითხავ.

ჩვენ სავსებით ვეკერთდებით ნიკო კეცხოველის აზრს: მართლაც, „ახალი ყოფის გამო ბევრი სახელწოდება იკარგება", აქ „დაკვიანება არ იქნება!.. ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა ეს უდიდესი საუნჯე შეკვრიბოთ, დავბეჭდოთ, განვმარტოთ".

ᲞᲔᲠᲛᲐᲠᲢᲐᲓ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲢᲝᲞᲝᲜᲘᲛᲔᲑᲘ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲐ ᲣᲜᲓᲐ!

ᲢᲝᲞᲝᲜᲘᲛᲔᲑᲘᲡ ᲔᲜᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲘᲡ სიმდიდრის მაჩვენებელია, ჩვენი ტოპონიმიკა გაოცებას იწვევს თავისი სტრუქტურული თვითმყოფობით, სიძველით. მასში ჩაქსოვილია ხალხის გენეა, შეუდარებელი გონებამახვილობა, ბარდასულ ეპოქათა ენებათაღელვა. ტოპონიმებში ვპოულობთ ჩვენი ისტორიის, ყოფის ისეთ რეალიებს, რომელთაც სხვა ვერც ერთი წყარო ვერ ვვიხსნის.

სიტყვა, სუნჯვე ენისა, ხალხის გონებრივი შემოქმედების ნაყოფია. სიტყვის მარაგით განიზომება ენის სიმდიდრე. ადამიანმა სამყარო სიტყვებით წარმოსახა და მათ დაპყრა უდიდესი მოვალეობა: სწორად გადმოეცათ სინამდვილე, საგნები და მოვლენები, მთელი ცხოვრება, ენა ცოცხლობს სიტყვებში. ადამიანი სიტყვებით ლაპარაკობს, სიტყვებით გადმოსცემს თავის აზრს, სიტყვებით ფიქრობს. სიტყვებით აზროვნებს. საუბარი, ფიქრი, აზროვნება, ურთიერთობა სიტყვების საშუალებით ხორციელდება. სიტყვა და საგანი განუყოფელია.

ქართული სიტყვა დიდი გამომსახველობით ასრულებს თავის ამ მოვალეობას.

ხალხს კარგად ესმის სიტყვის სოციალური დანიშნულება. უფრთხილდება, ინახავს, გულის ბუდეში აბარტყებს და შთამომავლობას გადასცემს მას. შეელი გონების ფირნი იწერს მშობლებისგან გაგონილ სიტყვას.

ფართო საზოგადოებრიობა იცნობს ტოპონიმთა მეტად მცირე ნაწილს (ეს არის დიდი დასახლებული პუნქტების, სოფლების, ქალაქების, მდინარეების, ტბების, მთების, გზების, ტყეების სახელწოდებანი), რაც შეეხება მათს მთავარ ფონდს, მიკროტოპონიმიკას, მასზე მეტად ზერელე, შეიძლება ითქვას, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ და ეს გასაგებია. მეცნიერების ინტერესს ტოპონიმთა ორივე ფონდი იწვევს და მათი გათიშვა არ შეიძლება.

ტოპონიმებით მეტნაკლებად მდიდარია ყველა დასახლებული პუნქტი, მაგრამ ამ ადგილის ყველა მცხოვრები ერთნაირად როდი იცნობს მას; ზოგის მეხსიერებას შემოუნახავს 10-15, ზოგისას კი — 50-100 და მეტი სახელწოდება. ყველაზე მდიდარი ამ მხრივ ხანდახმული ადამიანთა რეპერტუარია.

დავასახელებთ ამის ორიოდე შემთხვევას. 1932 წელს სოფელ ლენჯერში (ᲛᲘᲡᲢᲘᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ) ერთი შუახნის მთქმელისაგან ჩავიწერეთ 40-მდე ადგილობრივი ტოპონიმი. მეტი არ ვიცი, — გვითხრა მაშინ მან. 30 წლის შემდეგ, 1962 წლის 21 აგვისტოს, კვლავ ვესტუმრეთ ამ სოფელს, თან გვქონდა ძველი ჩანაწერებიც მივიკითხ-მოვიკითხეთ ჩვენთვის საინტერესო მასალა. სოფლის ჭარმაგმა მკვიდრმა, 77 წლის ომარ ბექმურხას-ძე გულედანმა, ძველი ჩანაწერების სისწორე დაგვდასტურა და 43 ახალი ერთეული დაუმატა: ყველა ადგილობრივი, წკრიალა სიტყვა (მეხვირი, ლაფური, ვანი, ლაპრილი, ხაჭრაში, ჰაწვალი, უჯერი, გულური, კაბიში, ცხარვანი, ხვიდი, დალანაკი (დალის ვაკე), ხაზარაში, ფუშხვერი...). რაც გამახსენდა, მხოლოდ ის გითხარით, მამაჩემმა კი უფრო მეტი იცოდაო...

ასევე, სოფელ ხახმატის (ᲮᲔᲛᲡᲣᲠᲗᲘᲗᲘ) ერთმა ახალგაზრდა მკვიდრმა ადგილობრივი ტოპონიმებიდან ძლივს გაიხსენა ოციოდე ტერმინი. მაგრამ იმავე სოფლელმა, 60 წლის მამუკა ღვთისოს-ძე ალუდაურმა, რომელსაც 1964 წლის 5 ოქტომბერს ვეტუმრე

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები •

ბოსტანელი რეკორდსმენი

თითქმის სამ საათს დავეძებდით გრიგოლ ჯოხაძეს.

სახლში გვიპასუხეს:

— გრიგოლი დილით ადრე ვენახში წავიდა. იქ ნახავთ.

ჩვენი „გაზიკით“ ვეებერთელა წრე გავაკეთეთ და ვახტანგის მთიდან ბობოქარი რიონისპირას დავეშვით, სადაც გადაწყლილია ამბროლაურის რაიონის სოფელ ბოსტანას ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის ვენახები.

— გრიგოლი სად არის? — გვიპასუხეს ვენახში, — ეს არის ახლა აქ თავის ნაკვეთში მუშაობდა. ალბათ რიონზე წავიდა საბანაოდ.

— რიონზე? ასეთ დინებაში? მერე წყალიც ხომ ყინულივით ცივია!

— ამის როდი ეშინია. ჩვენი გრიგოლი ყოჩაღია. განა ნამდვილ ვაჟკაცს ცივი წყალი და მთის მდინარე შეაშინებს!

მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი მოუხელთებელი გრიგოლი რიონის ნაპირზეც არ აღმოჩნდა.

— ალბათ გზაში ასცდით, — გვითხრეს.

— ჩვენ ხომ ამ გზაზე მოვდიოდით!

— ეს მართალია, მაგრამ ჩვენი გრიგოლი ყოველთვის პირდაპირ დადის. აი იმ მთის ბილიკით.

მაღლა ავიხედეთ და გავოცდით, ვიწრო ბილიკი თითქმის შვეულად მიდიოდა მაღლა ვასტანგის მთის თავბრუდამხვევ მაღლობზე.

— რატომ გზატკეცილზე არ წავიდა?

— ყოველთვის ასე ამჯობინებს სიარულს. მართალია, აქ ასვლა ყველას როდი შეუძლია, მაგრამ სამაგიეროდ მოკლეა. ამ ბილიკს სწორედ ჯოხაძის ბილიკს ეძახიან.

ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. უნდა გაგაფრთხილოთ მკითხველო, რომ სოფელ ბოსტანას მცხოვრები, რომელსაც ასე დიდხანს დავეძებდით, ტანადი ჭაბუკი კი არ იყო, არც ჯანღონით სავსე ახალგაზრდა და არც შუა ხნის ბრგე ვაჟკაცი, საქმე ის არის, გრიგოლ ჯოხაძე, რომელთანაც ასე გვიხდება გვესაუბრნა, რაჭის სოფელ ბოსტანას მცხოვრებს, უკვე 113 წელი შეუსრულდა.

ვინ არ იცნობს სოფელში ამ საოცრად ბხნე მოხუცს!

ბევრ ასწლოვან მოხუცს შევხვედრივარ საქართველოს ყველა კუთხეში, მაგრამ, სიმართლე უნდა ვთქვა, რომ ისეთი ენერგიული, როგორიც გრიგოლ ჯოხაძეა, ჯერ არ მინახავს.

იგი დღემდე არ იშლის ფიზიკურ შრომას და ითვლება ერთ-ერთ უხუცეს მევენახედ რაიონში და, შეიძლება ითქვას, მთელ საქართველოშიც.

მრავალ ათეულ წელს დურგლად მუშაობდა ბათუმში, შემდეგ მშობლიურ სოფელში გადავიდა. კოლმეურნეობის დაარსების დღიდან იქ შრომობს.

1962 წელს, როცა 110 წლისა იყო, მან ყურძნის მოსავლიანობის თავისებური რეკორდი დაამყარა ჩვენი ქვეყნის ღრმა მოხუცთა შორის, მიმაგრებულ 0,5 ჰექტარ ნაკვეთზე 72 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა. მის ასაკში ეს შედეგი, შეიძლება ითქვას სარეკორდოა საერთაშორისო მასშტაბით.

სასიამოვნოა მასთან საუბარი, მისი ნათელი სიტყვებისა და მოხდენილი ოხუნჯობის მოსმენა. მეხსიერება ჩინებული აქვს, ასი წლის წინანდელი ამბები ახსოვს და ხშირად უამბობს ახალგაზრდობას, თუ რა გაჭირვებაში ცხოვრობდნენ ბოსტანელები, როცა აქაურ მიწებს ვინმე ქედმაღალი თავადი ვახტანგ ყიფიანი ფლობდა.

— ხანგრძლივი სიცოცხლე ჩვენი ოჯახის მამაკაცებისათვის მემკვიდრეობითი მოვლენაა, — ოხუნჯობს ბაბუა გრიგოლი. მამაჩემმა ივანემ 118 წელიწადი იცოცხლა, ბაბუას კი, ამბობენ, უფრო მეტხანს უცოცხლია. ყველანი ჯანსაღები იყვნენ, არც წამალი იცოდნენ და არც ექიმი.

გრიგოლ ჯოხაძეს ექვსი შვილი ჰყავს. თავის შვილიშვილებთან, შვილიშვილის შვილებთან და შვილიშვილთა შვილიშვილებთან ერთად ამ ცნობილ ბოსტანელ მოხუცს ბედნიერი, შეხმატკბილებული ოჯახი ჰყავს.

ს. კილაძე.

სურათზე: გრიგოლ ჯოხაძე.

ფოტო ავტორისა

მოკლედ

□ **გორი.** (საკ. კორ.). ამ დღეებში გორის საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა დაამზადა ახალი პროდუქცია — კიტრისა და მწიფე პამიდორის შერეული მარინადი.

„ბოსტნეულის ახორტი“ — ასე ჰქვია ახალ კონსერვებს, რომელიც ქარხანაში უკვე 15 ათასი ცალი პირობითი ქილა დაამზადეს. ამ პროდუქციას სარეალიზაციოდ მოკლე ხანში მიიღებენ ჩვენი რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციები.

□ **ოჩამჩირეში** საზოგადოებრივ საწყისებზე დაარსდა საჭადრაკო კლუბი, სადაც ჭადრაკის მრავალი მოყვარული გაერთიანდა. კლუბის გამგეობის თავმჯდომარეა პედაგოგი გ. ურიდია.

(„კომ“. კორ.).

ეს ჭაბუკები ლ. გულბანი (მარცხნივ) და ვ. ხარძიანი თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები არიან. ზაფხულს მშობლიურ მხარეში — სვანეთში ატარებენ.

ფოტო ლ. ჩარკვიანისა.

საინტერესო სიახლენი

„ექო-აპარატი“ კურნავს ენაბლუობას

ლიუბლინის (პოლონეთი) უნივერსიტეტის ექსპერიმენტული ფიზიკის კათედრის თანამშრომელმა დოქტორმა ბოგდან ადამჩიკმა წამოაყენა ენაბლუობის მკურნალობის თავისი მეთოდი. ერთხელ დოქტორმა ადამჩიკმა, რომელიც თვითონ ენაბლუ იყო, სოფელში შვებულებით ყოფნისას ბაში თავი ჩაჰყო და რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა. ექო მაშინვე გამოეხმაურა. „საუბარი“ რამდენიმე წუთს გაგრძელდა, და ადამჩიკმა შეამჩნია, რომ სიტყვების გამოთქმა თანდათანობით გაუადვილდა. სწორედ მაშინ დაებადა მას აზრი დაემზადებინა აპარატი, რომელიც ენაბლუობას უმკურნალებდა ხელოვნური ექოს საშუალებით. ამრიგად დაიბადა აპარატი „ექო“. მიკროფონში მოლაპარაკე კაცს მილში თავისი ხმა ესმის ორი მეათედი წამის მოგვიანებით. აპარატით სარგებლობა შეიძლება როგორც კლინიკაში, როდესაც პაციენტი უშუალოდ უზის მას, ისე შორ მანძილზე ტელეფონის საშუალებით. ამ შემთხვევაში შეიძლება „ექო-აპარატის“ ჩართვა საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურში, ხოლო პაციენტი იჯდეს შინ ტელეფონის აპარატთან.

„ექო-აპარატის“ დადებითი გავლენა ავადმყოფის მეტყველებაზე შეიძლება აიხსნას როგორც ფსიქოლოგიური, ისე ფიზიოლოგიური თვალსაზრისით. ერთი მხრივ — აპარატთან „მოსაუბრე“ ადამიანი არ გრძნობს უხერხულობას, მეორე მხრივ — „ექო“ წარმოადგენს ფაქტორს, რომელიც სმენის ორგანოს საშუალებით აღაგზნებს თავის ტვინის სამეტყველო ცენტრს.

„ექო“ თავისთავად არ წარმოადგენს სასწაულმოქმედებას. ავადმყოფს უნდა ჰქონდეს მოთმინებისა და ნებისყოფის საკმაო მარაგი. მკურნალობა ოთხ თვეს გრძელდება. პაციენტი ყოველდღე „ექოთი“ უნდა ვარჯიშობდეს 20 წუთს, ხოლო შემდეგ შესწავლილს ერთი დღის განმავლობაში იმეორებდეს სამჯერ-ჩუთჯერ.

სისტემატური ვარჯიში ენაბლუს შეაჩვევს დამოუკიდებელ სწორ მეტყველებას. დადგენილია, რომ აპარატი ყველაზე მძიმე შემთხვევებშიც კი შველის.

ამჟამად „ექო-აპარატი“ ჩართულია ლიუბლინის საქალაქთაშორისო სატელეფონო ხაზში. ასეთი აპარატების დადგმა განზრახულია აგრეთვე ვარშავაში, კატოვიცსა და გდანსკში.

ავტომატი-მწვრთნელი

მაბიდის ჩოგბურთში შეჯიბრებაზე, რომელიც 1964 წლის ბოლოს გაიმართა მალმეში, შვედმა გამომგონებელმა ფლიბურგმა წარმოადგინა სპორტსმენთა საწვრთნელი ავტომატი.

იგი იდგმება მაგიდის ერთ თავში და „ისვრის“ ბურთებს. ავტომატთან მოთამაშე სპორტსმენს სურვილისამებრ შეუძლია მისცეს მას ბურთის გამოტყორცნის საჭირო რიტმის დავალება და რაც მთავარია, ტრაექტორია.

ავტომატის ბუნკერში თავსდება 400 ბურთი. მას შეუძლია გამოტყორცნოს წამში თითო ბურთი. აგრეთვე თითო ბურთი ოთხ წამში. გამოტყორცნის სიჩქარეა 25 მეტრამდე წამში.

რადიოფოტოაპარატი

ფოტოაპარატი და რადიომიმღები გაწუყრელი თანამგზავრებია მოგზაურობაში. იმისათვის, რომ ტურისტმა ორივე ნივთი თან არ ატაროს, ლუსსმბურგის ერთ-ერთმა ფირმამ გადაწყვიტა მათი გაერთიანება ერთ აპარატად. ახალი კომბაინი შედგება ამერიკული ფირმის „ჯენერალ ელექტრიკის“ პორტატიული ტრანზისტორული რადიომიმღებისა და „კოდაკის“ ფირმის ფოტოაპარატის ნაწილებისაგან.

რადიოფოტოაპარატი მცირე ზომისაა, მსუბუქია და სახმარად მოსახერხებელი.

მანათობელი ელექტროგამომრთველი

ალბათ ყველა თქვენგანს შეხვედრია სიბნელეში კედელზე ელექტროგამომრთველის მისაგნებად ხელის ფათური. ამას მოწმობს კედელზე გამომრთველის ირგვლივ დატოვებული ნათითარები. წვრილმანია, მაგრამ უდავოდ არასასიამოვნო.

ახლა ბევრ ქვეყანაში ელექტროგამომრთველი ანათებს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპეციალისტებმა დაამზადეს ელექტროგამომრთველი, რომელიც აბსოლუტურ სიბნელეში მკაფიოდ მოჩანს ხუთ მეტრზე. იგი დაფარულია მანათობელი ხსნარით და მოყვითლო-მომწვანო ფრად ანათებს. ნათების ხანგრძლივობა 20 წელია. ხსნარში გამოყენებულია იზოტოპები, რომელთა რადიოაქტიური გამოსხივების ინტენსიურობა ძალიან მცირეა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში არ არის.

შემოდგომა... აგვისტოში

საბჭოთა ქვეყნის ევროპული ნაწილის ჩრდილოეთ ნახევარს ზაფხულმა სითბო არ არგუნა. მოსკოველებიც და მურმანსკელებიც ერთნაირად ამბობენ, ზაფხული არ გვინახავსო. დარჩენილი იყო ერთი იმედი— აგვისტო. მაგრამ შუა თვეში სიცივის ტალღამ გადმოიარა, თითქმის შემოდგომის წვიმები მოვიდა.

ხკანდინავიის თავზე დიდხანს იმყოფებოდა ანტიციკლონი, და ჩვენც გვბედა წილად ჩრდილოეთის ქარები. ხიბინის მთებში დროდადრო თოვდა, ხეობებში მცირე უინვები აღინიშნა. აქედან სიცივემ ბელორუსიასა და ცენტრალურ რაიონში შემოადწია. ძლიერ ქარებს სიცივე მოჰქონდა აგრეთვე უკრაინაში, შუა ვოლგაზე, ურალზე. რამდენიმე დღეს ვერცხლისწყლის სვეტი ლენინგრადში დილით პლუს 2 გრადუსს უჩვენებდა. როსტოვის ოლქში, ჩრდილოეთ კავკასიაში და ქვემო ვოლგაზე მშრალი სიცხეები სიგრილემ შეცვალა, კოკისპირული წვიმები მოვიდა.

ახლა სკანდინავიის ანტიციკლონი შესუსტდა, ხოლო ციკლონი ჩვენი ქვეყნიდან ნელ-ნელა გადადის დასავლეთ ევროპის ჩრდილოეთ ნაწილში. წვიმები თითქმის შეწყდა ბალტიისპირეთში და იკლო ბელორუსიაში, სადაც შედარებით თბილა და ნალექები არ არის. ცენტრალურ რაიონში ამინდი უმჯობესდება, წვიმები შეწყდება, დათბება. სამწუხაროდ, არხანგელსკის, კიროვის, პერმის ოლქებში ჯერჯერობით მოღრუბლულობა და წვიმები დარჩება.

შუა ვოლგაზე გრილ ამინდს სითბო შეცვლის. უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში, ჩრდილოეთ კავკასიაში ამინდის ხანმოკლე გაუარესების შემდეგ კვლავ გამოიდარებს, დათბება.

დასავლეთ ევროპაში ცვალებადი მოღრუბლულობა და ხანმოკლე წვიმებია, ჩრდილოეთსა და სამხრეთში დაახლოებით ერთნაირი ტემპერატურაა. სიმშრალეა და ცხელა ირანში; ამ ქვეყნის სამხრეთში, ბენდერშაჰში 50 გრადუსი იყო, თითქმის ასევე ცხელა ერაყშიც. მზიანი ამინდია ინდოეთში, ჭაშმირში.

აგვისტო ტაიფუნების თვეა. 17 აგვისტოს წუნარ ოკეანეში მე-20 პარალელის გაყოლებით აზიას ერთბაშად შეუტია სამმა ტაიფუნმა — „მერიმ“, „ნიუსიმ“ და „ნადინამ“. პირველი ყველაზე მძლავრია.

გამანადგურებელმა ციკლონმა გადაუარა ჩილის და უდიდესი მატერიალური ზარალი გამოიწვია. მექსიკის თავზეც ციკლონი ხანგრძლივი კოკისპირული წვიმების მიზეზი გახდა. მდინარეები ნაპირებიდან გადმოვიდა.

ბ. მიხაილოვა,

10 ათასი ახალი სჯუდენჯი

რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში დამთავრდა მისაღები გამოცდები. დასრულდა საგამოცდო მღელვარების დრო. ოცი დღის დაძაბული შრომის შემდეგ უნივერსიტეტსა და ინსტიტუტებში უჩვეულო სიხუმრემ დაისადგურა.

10 ათასზე მეტი ახალი სტუდენტი 1 სექტემბერს პირველად მივა საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა აუდიტორიებში.

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ცხრა ფაკულტეტზე, რომელზეც 18 ათასი ქალაქელი და ჭაბუკი სწავლობს, დღის, საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე მიღებულია 3500 კაცი. ეს ერთი მესამედია. ყველა იმათი, ვინც აბარებდა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში.

ახალი სასწავლო წლიდან პოლიტექნიკური ინსტიტუტი მოამზადებს სპეციალისტებს ოთხი ახალი საინჟინრო-ფიზიკური სპეციალობების მიხედვით. ამასთან დაკავშირებით პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შემოღებულია ახალი საგნები: ნახევრად გამტარებისა და დიელექტრიკების ფიზიკა, კვანტური ელექტრონიკა, ლითონების ფიზიკა, საინჟინრო ელექტროფიზიკის საფუძვლები, პლაზმისა და მყარი სხეულის ფიზიკა.

საბჭოთა მეურნეობების მუშები, კოლმეურნეები, ბრიგადირები, მერგოლურები — აი ისინი, ვინც სექტემბერში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აუდიტორიების კარებს შეაღებს. მოუთმენლად ელის ახალ შვილებას ინსტიტუტის დიდმის სასწავლო-საცდელი მეურნეობაც. წლეგანდელ სასწავლო წელს პირველად ჩადგება მწყობრში სასწავლო-საკვლევი საკოსერვო ქარხანა, რომლის „ბატონ-პატრონები“ იქნებიან ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტები. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში შეიქმნა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ელექტრიფიკაციის ახალი ლაბორატორია.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტმა მიიღო 300 კაცი — მომავალი თერაპევტები, ქირურგები, პედიატრები, პროფილზორები. სტუდენტთა უმრავლესობა ოქროსა და ვერცხლის მედლების მფლობელია.

დამთავრდა მისაღები გამოცდები თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. პირველ სექტემბერს 125 პირველკურსელი შეუდგება მეცადინეობას ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის ფაკულტეტზე.

დიდი კონკურსის (7 აბიტურიენტი ერთ ადგილზე) შედეგად შერჩეული არიან საუკეთესონი. (საქდესი).

გუდაპეშტის უნივერსიადა

გუშინ ბუდაპეშტში გრძელდებოდა სტუდენტთა ასპარეზობა, ან როგორც მას უწოდებენ — მცირე ოლიმპიადა.

საბჭოთა ფრენბურთელებმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს წინ, დაამარცხეს იტალიის ვაჟთა გუნდი 3:0. ცურვაში ზურგით 200 მეტრზე **ვ. მაზანოვმა** ევრცხლის მედალი მოიპოვა. ევრცხლის მედალი მოიპოვეს აგრეთვე 4×100 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში საბჭოთა სპორტსმენმა ქალებმა.

დაიკარგა ორი ქულა

გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის პირველი ქვეჯგუფის გუნდების მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ ვორონეჟის „ტრუდი“ და თბილისის „ლოკომოტივი“.

მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობა

იტალიელი ბოჭიდავეები თბილისში

გუშინ თბილისს ეწვია იტალიის კლასიკური ბოჭიდაგეთა გუნდი. დღეს სტუმრებს კიროვის პარკის სპორტულ მოედანზე საერთაშორისო მატჩი ექნებათ საქართველოს გუნდთან.

თბილისში ჩამოსვლამდე იტალიელი სპორტსმენები იყვნენ ნოვოსიბირსკში, სადაც მატჩი ჰქონდათ რსფსრ მოჭიდავეებთან. შეხვედრა საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობით წარიმართა და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 7:1.

შედგა რსფსრ „ბ“ კლასის მეოთხე ზონის კიდევ ორი მატჩი ფეხბურთში. ფოთის „კოლხიდა“ საკუთარ მოედანზე შეხვდა ლენინაკანის „შირაქს“. ფოთელებმა აღმავლობით ჩაატარეს თამაში და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0.

რსფსრ მეოთხე ზონაში

სოხუმში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და კაფანის „ლერნაგორაცი“. გაიმარჯვეს სოხუმელებმა 4:2.

დღეს და ხვალ სტადიონებზე

22 და 23 აგვისტო საკავშირო ჩემპიონატის შორიგი ტურის დღეებია „ა“ კლასის პირველი ჯგუფის ფეხბურთელთა კოლექტივებისათვის.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დღეანდელი მატჩი მოსკოვში ლიდერებს — დედაქალაქის „ტორპედოსა“ და არმიის ცეხტრალური სასპორტო კლუბის გუნდებს შორის. მოსალოდნელია პრინციპული ბრძოლა არა მარტო იმიტომ, რომ მეტოქეთა პირველი წრის შეხვედრა ფრედ — 0:0 დამთავრდა, არამედ იმიტომაც, რომ ამ ეტაპზე ორი ქულის შედეგნა ან დაკარგვა თვალსაჩინო მნიშვნელობის მოვლენა იქნებოდა როგორც ერთი, ისე მეორე მხარისათვის.

ხვალ კი ერთმანეთს შეხვდებიან: „შახტიორი“ (დონეცკი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა), „დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), სკა (ოდესა) — „ზენიტი“ (ლენინგრადი), „ნეფტჩანიკი“ (ბაქო) — „დინამო“ (კიევი), „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მოსკოვი), სკა (დონის როსტოვი) — „დინამო“ (მინსკი).

ნაკრების 189 კანდიდატი

ფეხბურთში ბრაზილიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა, ცნობილმა სპეციალისტმა **ვისენტე ფეოლამ** ჟურნალისტებთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ბრაზილიის ნაკრებში საბოლოოდ ჯერ კიდევ არც ერთი სპორტსმენი არ შეუარჩევია — 1966 წელს ინგლისში მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად.

„ჩვენ შეგნებულად გავაფართოეთ კანდიდატთა რიცხვი, განაცხადა ფეოლამ.— ახლა 189 ფეხბურთელს ვიწვევთ მუდმივ კონტროლს, და უახლოეს მომავალში გაწზრახული გვაქვს დავიწყოთ კანდიდატთა უფრო ინტენსიური შემოწმება, რათა 1966 წლის დამდეგისათვის ორმოცი ყველაზე ძლიერი სპორტსმენი შევარჩიოთ. 189 კაციდან თვითეულმა ჩინებულად იცის, რომ მხოლოდ საკუთარი დამსახურება მისცემს შესაძლებლობას შევიდეს ორმოცი ბედნიერის რიცხვში. ამაყოფილებით აღვნიშნავ, რომ ფეხბურთელები ძალიან ეს. ბანასაკენ ხანს მნიშვნელოვნად ამაღლდა“.

ასს.

ა. ს თოფურია— ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

თბილისს სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის დოცენტმა აკაკი სარდიონის-ძე თოფურიამ უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე:

„ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის ძირითადი საკითხები.“

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ა. ს. თოფურიასათვის ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

ეს საბედისწერო ნაბიჯია!

— კაცი მოუკლავთ! — ელვის სისწრაფით გავრცელდა სამწუხარო ცნობა. სოფელი ჭალოვანი ფეხზე დადგა. დიდი თუ პატარა მდინარე ძირულას მიეწყდა. მალე წისქვილთან სახეჩამოკაწრული მანდილოსნები გამოჩნდნენ, მწარედ მოთქვამდნენ და ზველას შესთხოვდნენ თანასოფელეებს. ცრემლმორეული ადამიანები დასცქეროდნენ უსულო გვამებს, რომელებსაც სახეზე ტანჯვის ძმიმე კვალი ანნდათ. სულ რამდენიმე საათის წინ ერთად საუბრობდნენ, ერთად იყვნენ, და ახლა არავის არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ ისინი აღარ იყვნენ. თვალწინ ედგათ ფქვილში ამოგანგლული მეწისქვილე, რომელიც ღიმილით ეგებებოდა ყველას, ახალგაზრდა ტრაქტორისტი, შრომაში არავის რომ არ ჩამოუვარდებოდა.

უცბად წრე გაიოქვა. შემთხვევის ადგილზე ექიმი, პროკურორი, საჩხერის რაისაბჭოს აღმასკომის მილიციის მუშაკები მოვიდნენ. მკურნალმა გუდდასმით შეამოწმა დაღუპულები. დარტყმის არავითარი კვალი.

— რა მოხდა?

შრომისმოყვარე ადამიანებად იცნობდნენ სოფელში მეწისქვილე გ. შ-ს და ტრაქტორისტ შ. ლ-ს, რომლებსაც თავიანთი მოკრძალებული ფეხლები შეჰქონდათ კოლექტივის წარმატებაში. არც არავის ეგონა, თუ ისინი ოდესმე მცდარ, საბედისწერო ნაბიჯს გადადგამდნენ და ოჯახს ძაღვებით შემოსავდნენ. მაგრამ მოხდა ასე: წინადღით მოთათბირეს, რომ თევზი დაეჭირათ. მეორე დღეს წისქვილში შეხვდნენ ერთმანეთს. არც ბადე, არც ანკესი არ მოუმზადებიათ, შეადგენ ამბავ ძირულას ნაპირზე დადიოდნენ, ადგილს ათვალიერებდნენ, მანძილს ზომავდნენ.

— აი აქ აჯობებს! — თქვა ერთმა.

მეორემ მანძილი თვალით გაზომა და მეგობარს გადაულაპარაკა:

— ოცი მეტრი მავთული საკმარისი იქნება.

როგორც კი ბინდი ჩამოწვა, ჩანაფიქრის განხორციელებას შეუდგნენ — მაღალი ძაბვის ელექტრობოძიდან ძირულას ნაპირამდე მავთული გაჭიმეს, მერე მოხერხებულად შეუერთეს იგი ძირითად ხაზს და დამუტტული მავთულის ბოლოები წყალში გადაგდეს.

— ახლა კი დროა! — ჩაილაპარაკა ერთმა.

ზედაპირზე ამოტივტივებული თევზების დანახვაზე წყალში შეტოკეს და მოხდა უბედურება: ორივე მაღალი ძაბვის დენმა ადგილზევე მოკლა.

ამ წერილით სულაც არ გვინდა ტკივილი გავუორკეცოთ გარდაცვლილთა მახლობლებს. მაგრამ არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ იმ ადამიანებზე, რომლებიც თავიანთი წინდაუხედავი მოქმედებით მუსრს ავლებენ ძვირფას ფაუნას, უმოწყალოდ ანადგურებენ თევზს, წამლავენ მდინარეებს, და ყოველივე ამას გართობას ეძახიან.

ბოლო დროს გახშირდა თევზის ელექტროდენით მოსპობის შემთხვევები, რასაც არეთუ იშვიათად ადამიანის მსხვერპლი მოსდევს. ეს საბედისწერო ნაბიჯია. კანონი მკაცრად დასჯის იმათ, ვინც შეგნებულად არღვევს წესებს, უკანონოდ თევზობს.

ყველა, ვისაც საამბოხო უყვარს, უნდა იცავდეს ბუნებრივ სიმდიდრეს, ძვირფას ფაუნას, მკაცრად უნდა ვეგრძოლოთ ბრაკონიერებს. რაიონული საბჭოების აღმასკომების, პროკურატურის, მილიციის განყოფილების მუშაკებთან ერთად ამ კეთილშობილურ საქმეში ფართოდ უნდა ჩაერთოს საზოგადოებრიობა, რომ ყოველმხრივ შეეწყოთ ხელი ბუნებრივი სიმდიდრის დაცვას.

ბრაკონიერები ყოველ ნაბიჯზე უნდა აწყდებოდნენ წინააღმდეგობას.

გ. გვაძაბია.

საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სამსახურის განყოფილების ინსპექტორი.

ქართული ლიტერატურა

ბ. ფხაკაძის წარმატება

ტულაში დამთავრდა საერთაშორისო ასპარეზობა ველოსიპედოსნებში ტრეკზე. აქ ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ დანიისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები.

საინტერესოდ წარიმართა სპრინტერთა ასპარეზობა. უძლიერესი იყო ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი **ბ. ფხაკაძე.** წარმატება ხვდა აგრეთვე **ვ. ბიკოვს.** მან პირველი ადგილი დაიკავა დადევნებით ველოსიპედოსებში ოთხ კილომეტრზე.

გუნდურ ჩათვლაში პირველობა საბჭოთა ველოსიპედოსებს ხვდათ.

რესპუბლიკურ ჩემპიონატზე

გრძელდება საქართველოს პირველობის გათამაშება ფეხბურთში. პირველი ქვეჯგუფის გუნდების უმრავლესობას გამართული აქვს 18 შეხვედრა, ზოგიერთს კი 19-20 მატჩი.

სატურნირო ცხრილის სათავეში დგას ახალციხის „მესხეთი“, რომელსაც 18 თამაშიდან 25 ქულა აქვს. ლიდერს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება გორის „ლილა“. ამდენივე თამაშიდან მას 11 მოგება, 2 ფრე და 5 წაგება აქვს.

ლანჩხუთის „გურიას“ და ქობულეთის „შუქურას“ ოცდაორ-ოცდაორი ქულა აქვთ. პირველს 17 თამაშიდან, მეორეს — 18 მატჩიდან. მეხუთე ადგილზეა თბილისის „თოლია“ (17 თამაშიდან 21 ქულა). აუტსაიდერები არიან მახარაძის „მერცხალი“ და ბორჯომის „განთიადი“ (17 თამაშიდან 12 ქულა).

ევროპის თასზე

გუშინ ოსლოში, რომსა და ზაგრებში დაიწყო ევროპის პირველი თასის გათამაშება მძლეოსნობაში ვაჟთათვის ნახევარფინალში გამარჯვებული ორ-ორი კოლექტივისგან შეიქმნება ფინალური ჯგუფი, სადაც გათამაშდება მთავარი პრიზი.

საბჭოთა მძლეოსნები გამოდიან ოსლოში საფრანგეთის, უნგრეთის, ფინეთის, ბელგიისა და ნორვეგიის გუნდებთან ერთად. ლენინგრადელმა **ა. მიხაილოვამ** 110 მეტრი თარგრბენით დაფარა 13,7 წამში და პირველი ადგილი დაიკავა. **რ. კლიმმა** (სსრ კავშირი) უროს ტყორცნაში აჩვენა შედეგი — 71 მეტრი და 2 სანტიმეტრი და ევროპის რეკორდი დამყარა.

ლიდერია საბჭოთა გუნდი, რომელსაც 48 ქულა აქვს.

საბჭოთა ხუთჭიდელების გამარჯვება

ზვეიცარია დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი თანამედროვე ხუთჭიდში. ხუთი დღის ბრძოლის შემდეგ წარმატება საბჭოთა გუნდს ხვდა. პირად ჩათვლაში გაიმარჯვა უნგრელმა **ბალცომ.** საბჭოთა სპორტსმენი **მაკეევი** მეორე იყო.

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 9-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 8-22-93, მრეწველობის — 8-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 8-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 8-16-90, უცხოეთის — 8-15-63, წერილების — 9-73-24, ილუსტრაციის — 8-28-54, განცხადებების — 9-93-96.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЮ 11970

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

რადიო

22 აგვისტო

პირველი პროგრამით

09.15 — ქართველ კომპოზიტორთა რომანსები, 10.15 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერის“ საკვირაო გამოშვება, 10.45 — ი. შტრაუსის ვალსები, 11.30—რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“, 12.15 — მუსიკალური რადიოფიში, 12.35 — მუსიკა კინოფილმებიდან, 14.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის, რადიოდადგმა „ვარსკვლავებიუნენ“ (პირველი ნაწილი), 14.55 — გადაცემა მშობლებისათვის, 15.00 — კონცერტი ახერბაიჯანისა და სომხეთის მშრომელთათვის, 15.40 — მხატვრული კითხვის ოსტატები მიკროფონთან, 16.00 — დე-ფალია. სამალეტო სიუიტა „სიყვარული — ჯადოქარი“, 16.30 — „ბუსკალური ქროსვორდი, 17.15 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.10 — კონცერტი რადიომსმენელთა დაკვეთით, 19.30 — გრიგი. კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, 20.00 — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტი, 20.30 — არდილიევსი. „ნაბიჯები“ (რადიოსპექტაკლი), 21.50 — ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 23.30 — საცეკვაო მუსიკა.

ტელევიზია

22 აგვისტო

11.00 — ღრისით გადაცემა მოსწავლეთათვის მხატვრული ფილმი „მეთაურის ინეული“, 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.00 — კვირის ამბები რუსულ ენაზე, 18.15 — კინონარკვევი, 18.30 — მხატვრული ფილმი „სახიფთული მოთხრობები“, 19.55 — მხატვრული პროგრამა, 21.45 — „სინათლე და ჩრდილები“ — საერთაშორისო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან).

23 აგვისტო

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — დოკუმენტური ფილმი, 19.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „დინამო“ თბილისი — „ლოკომოტივი“ მოსკოვი, 20.45—განცხადებები, 20.50 — გადაცემა „რუმ